**პროგრამაზე დაშვების წინაპირობა**

მაგისტრატურაში სწავლის უფლება აქვს ბაკალავრის ან მასთან გათანაბრებული აკადემიური ხარისხის მქონე პირს, რომელიც ჩაირიცხება სამაგისტრო გამოცდების შედეგების საფუძველზე (საერთო სამაგისტრო გამოცდა და სტუ-ს მიერ განსაზღვრული ორი გამოცდა - "სამკურნალო მცენარეებიდა „ინგლისური ენა - დონე B2". ინგლისური ენის B2 დონის დამადასტურებელი დოკუმენტის წარმოდგენის შემთხვევაში მსურველები თავისუფლდებიან აღნიშნული გამოცდიდან).

აპლიკანტებს, რომლებსაც განათლება მიღებული აქვთ საზღვარგარეთ (გავლილი აქვთ - ინგლისურენოვანი პროგრამა) გამოცდის ჩაბარება ან სერთიფიკატის წარმოდგენა არ მოეთხოვებათ.

აპლიკანტი, რომელიც ვერ წარმოადგენს აღნიშნულ სერთიფიკატს, ვალდებულია ტესტირება გაიაროს სტუ-ის კომპიუტერულ ცენტრში ინგლისურ ენაში.

შიდა საუნივერსიტეტო გამოცდების საკითხები/ტესტები განთავსდება სტუ-ს სწავლების დეპარტამენტის ვებგვერდზე http://gtu.ge/Study-Dep/ გამოცდების დაწყებამდე მინიმუმ ერთი თვით ადრე. პროგრამაზე ჩარიცხვა სამაგისტრო გამოცდების გავლის გარეშე შესაძლებელია საქართველოს განათლების, მეცნიერების ახალგაზრდობის სამინისტრო მიერ დადგენილი წესით.

**პროგრამის მიზანია:**

ეკოლოგიურად უსაფრთხო, ბიოლოგიურად აქტიურ ნივთიერებათა მაღალი შემცველობის სამკურნალო მცენარეთა კულტივირების თანამედროვე ტექნოლოგიებისა და ძვირადღირებული თესლის ბანკის ჩამოყალიბებისათვის საჭირო ცოდნის მქონე, ქვეყნის უმდიდრესი და უნიკალური ბიორესურსების მოძიება-დაცვა-კონსერვაციის, ეთნობოტანიკური ჩვევებისა და მდგრადი გამოყენების უნარებით აღჭურვილი მაღალკვალიფიციური და კონკურენტუნარიანი სპეციალისტების მომზადება ადგილობრივი და საერთაშორისო შრომის ბაზრისათვის.

**სწავლის შედეგები/კომპეტენტურობები (ზოგადი და პროფესიული)**

- ✓ ადგენს სამკურნალო მცენარეების მაღალპროდუქტიული სამრეწველო პლანტაციების ბიომოდელებს, ბუნებრივი და ხელოვნური ეკოსისტემის პარამეტრებისა და თანამედროვე ტექნოლოგიების ურთიერთქმედების გათვალისწინებით;
- ✓ განსაზღვრავს სამკურნალო მცენარეების სამრეწველო პლანტაციების კულტივირების ტექნოლოგიებს, იყენებს მცენარეთა ბიოტექნოლოგიაში in vitro კულტივირების და სხვა თანამედროვე მეთოდებს, აფასებს მავნე ორგანიზმების მიერ გამოწვეულ დაზიანებებს, გეგმავს და აორგანიზებს მცენარეთა დაცვის ღონისძიებებს, რაც აუცილებელია ეკოლოგიურად სუფთა ფიტონედლეულის მისაღებად;
- ✓ იღებს ეკოლოგიურად უსაფრთხო ბიონედლეულს და ადგენს ძვირადღირებული თესლის ბანკის შექმნის პარამეტრებს, რაც ეკონომიკურად მომგებიანი ბიომოდელების შექმნის საწინდარია;
- ✓ ახორციელებს კვლევებს დამოუკიდებლად კულტივირების ინოვაციური ტექნოლოგიების გამოყენებით; უკავშირებს ერთმანეთს ქვეყნის უნიკალურ და უმდიდრეს ფიტოგენოფონდის უმნიშვნელოვანესი სახეობების რაციონალური, მდგრადი გამოყენების სქემებს და ეკონომიკურად მომგებიანი მცენარეების სამრეწველო პლანტაციების შექმნის მექანიზმებს ბუნებრივი და ხელოვნური ეკოსისტემის პარამეტრების გათვალისწინებით;
- ✓ დამოუკიდებლად ქმნის ბიომეურნეობას ეკოლოგიურად უსაფრთხო ნედლეულისა და ძვირადღირებული თესლის ბანკის შესაქმნელად;

- ✓ აყალიბებს კველევებისა და სამეციერო - პრაქტიკული შედეგების ანალიზის საფუძველზე, თანამედროვე ტექნოლოგიებისა და არსებული ინფორმაციების გამოყენებით ხარისხიანი და კონკურენტუნარიანი ფიტოპროდუქციის მისაღებად დასაბუთებულ დასკვნებს;
- ✓ საფუძვლიანად აანალიზებს სპეციალობის შესაბამის ტერმინოლოგიას და აწარმოებს საქმიან დოკუმენტაციას; საინფორმაციო - საკომუნიკაციო ტექნოლოგიების გამოყენებით ქართულ და უცხო ენებზე, აკადემიური თუ პროფესიული საზოგადოების წინაშე წარადგენს პრეზენტაციებს, ბიომრავალფეროვნებისა და სამკურნალო მცენარეების გამოყენების სფეროში;
- ✓ აკადემიური კეთილსინდისიერების პრინციპების დაცვითა და უახლესი კვლევის მეთოდების გამოყენებით შეიმუშავებს კვლევითი ხასიათის ნაშრომს და აზიარებს აკადემიური და პროფესიული საზოგადოების წინაშე; წარმართავს სწავლას დამოუკიდებლად;
- ✓ აქვს სწავლის პროცესის თავისებურებების გაცნობიერებისა და სტრატეგიულად დაგეგმვის მაღალი დონე ფიტოინდუსტრიის განვითარების მენეჯმენტში სამკურნალო მცენარეების ჩართვით, რის საფუძველზეც მოქმედებს პროფესიულ სივრცეში;
- ✓ აქვს პროფესიული ეთიკის, აკადემიური პატიოსნების, გარემოსთან ჰარმონიული ურთიერთქმედების და თანამშრომლობის მაღალი სტანდარტები; ქვეყნის უნიკალური ფიტოგენოფონდის დაცვა - კონსერვაციის და მდგრადი განვითარებისაკენ სწრაფვა.

**შეფასების სისტემა:**

შეფასება ხდება 100 ქულიანი სკალით.
დადებითი შეფასებებია:

- **(A)** - ფრიადი - შეფასების 91-100 ქულა;
- **(B)** - ძალიან კარგი - შეფასების 81-90 ქულა;
- **(C)** - კარგი - შეფასების 71-80 ქულა;
- **(D)** - დამაკმაყოფილებელი - შეფასების 61-70 ქულა;
- **(E)** - საკმარისი - შეფასების 51-60 ქულა.

უარყოფითი შეფასებებია:

- **(FX)** - ვერ ჩააბარა - შეფასების 41-50ქულა, რაც ნიშნავს, რომ სტუდენტს ჩასაბარებლად მეტი მუშაობა სჭირდება და ეძლევა დამოუკიდებელი მუშაობით დამატებით გამოცდაზე ერთხელ გასვლის უფლება;
- **(F)** - ჩაიჭრა - შეფასების 40ქულა და ნაკლები, რაც ნიშნავს, რომ სტუდენტის მიერ ჩატარებული სამუშაო არ არის საკმარისი და მას საგანი ახლიდან აქვს შესასწავლი.

**კვლევითი კომპონენტი: სამაგისტრო ნაშრომის დასრულება და დაცვა -** სამაგისტრო ნაშრომის დაცვაზე დაიშვება პირი, რომელმაც შეასრულა საგანმანათლებლო პროგრამით გათვალისწინებული ყველა სასწავლო კომპონენტი.
დასრულებული საკვალიფიკაციო ნაშრომი წარმოადგენს მაგისტრანტის დამოუკიდებელი კვლევითი მუშაობის შედეგს. დასრულებული საკვალიფიკაციო ნაშრომის წარდგენის, საჯარო დაცვისა და **შეფასება ხორციელდება ერთჯერადად, შეფასება ხდება 100 ქულით.** შეფასების წესი და პროცედურა განსაზღვრულია უნივერსიტეტის აკადემიური საბჭოს მიერ დამტკიცებული „საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის მაგისტრატურის შესახებ“ დებულებით (დანართი 2).
მაგისტრატურის საგანმანათლებლო პროგრამის სასწავლო კომპონენტის შეფასების წესი მოცემულია საქართველოს ტექნიკურ უნივერსიტეტში სასწავლო პროცესის მართვის ინსტრუქციაში.

| | | |
|---|---|---|
| | | |
| | **სასწავლო კურსების ჩამონათვალი კრედიტების მითითებით** | |
| **№** | **სასწავლო კურსი** | **კრედიტი** |
| 1. | აკადემიური წერა | 5 |
| 2. | ბიომრავალფეროვნება | 5 |
| 3. | მცენარეთა ბიოლოგია და ფიზიოლოგია | 5 |
| 4. | მცენარეთა ბიოქიმია | 5 |
| 5. | სამკურნალო მცენარეების კულტივირების ტექნოლოგია | 5 |
| 6. | ნიადაგისა და წყლის რესურსების გამოყენების აგროტექნოლოგია | 5 |
| 7. | ბიზნესკომუნიკაცია (ინგლისური ენა) | 5 |
| 8. | ბიზნესკომუნიკაცია (ფრანგული ენა) | |
| 9. | ბიზნესკომუნიკაცია (გერმანული ენა) | |
| 10. | ბიზნესკომუნიკაცია (რუსული ენა) | |
| 11. | სამკურნალო მცენარეების გენეტიკური რესურსი | 5 |
| 12. | მცენარეთა ბიოტექნოლოგია | 5 |
| 13. | ფიტოკლიმატოლოგია | 5 |
| 14. | საგაზაფხულო საწარმოო პრაქტიკა - სამკურნალო მცენარეების ეკოლოგიურად უსაფრთხო კულტივირება | 5 |
| 15. | ხალხური ფიტომედიცინა | 5 |
| 16. | სამკურნალო მცენარეები და ორგანული მიწათმოქმედება | 5 |
| 17. | ფიტოფარმაცევტული სწავლება | 5 |
| 18. | საშემოდგომო საწარმოო პრაქტიკა - სამკურნალო მცენარეების კულტივირების თანამედროვე ტექნოლოგიები | 5 |
| | **არჩევითი სასწავლო კურსები:** | |
| 19. | ბუნებრივი ფიტონაერთები და ბიოლოგიურად აქტიური კვებითი დანამატები | 5 |
| 20. | სამკურნალო მცენარეები და ალკოჰოლური სასმელები | |
| 21. | სამკურნალო მცენარეები მეცხოველეობაში | |
| 22. | საქმიანი კომუნიკაცია უცხოურ ენაზე (ინგლისური ენა) | |
| 23. | საქმიანი კომუნიკაცია უცხოურ ენაზე (ფრანგული ენა) | |
| 24. | საქმიანი კომუნიკაცია უცხოურ ენაზე (გერმანული ენა) | |
| 25. | საქმიანი კომუნიკაცია უცხოურ ენაზე (რუსული ენა) | |
| | **კვლევითი კომპონენტი** | **40** |